



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N14

ქ. მარნეული

23.08.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ივანე ხალულაშვილი.

არ ესწრებოდა:

ზურაბ ფანგანი, ილხამ გასანოვი, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, გეიდარ მუსაევი, როვშან ისკანდაროვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადეღია**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი სპეციალისტი **მარიამ კაპანაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **შერმადინ ბოჭოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები: **არმაზი მუმლაძე**, **თამაზ ბოჭოიძე**.

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების განსაზღვრის შესახებ
4. სოციალური საკითხები.
5. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს გაუკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირდა ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს, ფრაქცია „ქართული ოცნება-მეგობრობა“ და ფრაქცია „ქართული ოცნება- მარნეული“-ს განცხადებები და ფრაქციის ოქმები ფრაქციების 2021 წლის 16 აგვისტოდან გაუქმების შესახებ, ასევე ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის ნიკოლოზ გოგოჭურის განცხადება, რომელმაც მიმდინარე წლის 16 აგვისტოს დატოვა ფრაქცია, რის გამოც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, აღნიშნული ფრაქციაც გაუქმდა, ვინაიდან დარჩა ორი წევრი.

საკრებულოს წევრების მიერ აღნიშნული მიღებული იქნა ცნობად. (მიღებულია განკარგულება N53. 23.08.2021 წ.)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 20 აგვისტოს N32-322123235 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N30. 23.08.2021 წ.).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2021 წლის 17 აგვისტოს N01/2826 წერილით შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სამთავრობო კომისიის 2021 წლის 12 აგვისტოს დასკვნა მარნეულის მუნიციპალიტეტის შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ შულავერში არსებული დასახლებისათვის „ივერიონი“-ს დარქმევის შესახებ

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N52. 23.08.2021 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ გუჯეჯიანიმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში შესატანი ვცლილების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N54. 23.08.2021 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეთოთხმეტე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე